

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო-საქართველოს პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

საფუძვლები

საქართველო წარმოადგენს შიდასთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (გლობალური ფონდი) გრანტების მიმღებს. გრანტების განხორციელების მიზანია ტუბერკულოზსა და აივ/შიდსზე ეროვნული საპასუხო ღონისძიებების მხარდაჭერა. გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამები 2018 წლის ბოლოს და 2019 წლის შუა პერიოდში დასრულდება შესაბამისად. საქართველო მიწვეულია პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის განაცხადის წარდგენაზე გლობალურ ფონდში, რომლის ვადა 2018 წლის აგვისტოა და მომდევნო ალოკაციის პერიოდად განსაზღვრულია 2020-2022 წლები.

გლობალური ფონდიდან მიღებული ფინანსური რესურსების შემცირების პირობებში, საქართველოს მთავრობის ქმედებები მიმართულია სახელმწიფო დაფინანსების ზრდისკენ და დეფიციტის შევსებისკენ, აივ-ის და ტუბერკულოზის კონტროლის პრიორიტეტული მიმართულებების სახელმწიფო დაფინანსებაზე ეტაპობრივი გადასვლის მიზნით.

ტუბერკულოზისა და აივ პროგრამების გლობალური ფონდის დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე შეუფერხებელი გადასვლის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) აყალიბებს პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტს (კომიტეტი), რომლის მთავარი ამოცანაა ქსს-სათვის გარდამავალი პერიოდის გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მათი გადაწყვეტის პოტენციური გზების მოძიებაში დახმარების აღმოჩენა. თავდაპირველად კომიტეტი შეიქმნა (2016 წელს) საქართველოს გარდამავალი პერიოდის გეგმის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით. გეგმა შემუშავდა და დამტკიცდა ქსს-ს მიერ 2017 წლის თებერვალში. მას შემდეგ რაც კომიტეტმა წარმატებით დაასრულა გარდამავალ გეგმაზე მუშაობა, ქსს-მ მიიღო გადაწყვეტილება, გამოიყენოს კომიტეტი ტუბერკულოზისა და აივ-ის ეროვნული სტრატეგიების, ქსს-ს გარდამავალი გეგმის, ახალი ალოკაციის პერიოდში გლობალური ფონდის დაფინანსების განაწილების და გლობალური ფონდისთვის დაფინანსების მოთხოვნის განაცხადის მომზადების საკითხებში ძირითად საკონსულტაციო პლატფორმად. კომიტეტი ჩართულია ტუბერკულოზისა და აივ-ის პრევენციის და სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის, რეგულაციების, ოპერაციული პოლიტიკის და პრაქტიკის სტანდარტების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ადვოკატირების ღონისძიებებში და უზრუნველყოფს ქსს-ს ტექნიკურ მხარდაჭერას და რეკომენდაციების მიწოდებას.

ზოგადი დებულებები

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი (კომიტეტი) შექმნილია ქსს-ს ზედამხედველობის ქვეშ. კომიტეტის როლი, მისი შემადგენლობა, წევრების პასუხისმგებლობები, წევრობის ვადა და პირობები მტკიცდება ქსს-ს სხდომაზე.

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (კომიტეტი) როლი

კომიტეტის მთავარი ფუნქციაა ქსს გარდამავალი გეგმის, აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების და გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების შემუშავების და განხორციელების პროცესის წარმართვა შემდეგი არსებითი ასპექტების გათვალისწინებით:

- ეროვნული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობისა და მასზე ზეგავლენისთვის სტრატეგიული ფისკალური სივრცის შესწავლა. ასევე იმ სტრატეგიული ინფორმაციის იდენტიფიცირება, რაც აუცილებელია გარდამავალ ეტაპზე და მის შემდგომ პერიოდში ფოკუსირებული ინვესტირებისთვის.
- საკანონმდებლო და ნორმატიული გარემოს შესაბამისობის უზრუნველყოფა ტუბერკულოზის და აივ-ის ეფექტური პრევენციისა და მართვის საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებთან. აღნიშნული მოიცავს იმ საკანონმდებლო/ნორმატიული გარემოს განხილვას/გადახედვას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს სამოქალაქო სექტორის მოღვაწეობაზე აღნიშნულ სფეროებში.
- დაავადებული პირების და ძირითადი დაზარალებული ჯგუფების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებისა და ქსს-ების ტუბერკულოზისა და აივ-ის ძირითადი სერვისების (მათ შორის თემზე დამყარებული მოცვის პროგრამებში, მკურნალობის პროგრამებში დროული ჩართვის, ასევე დამყოლობის, მკურნალობისა და ზრუნვის ეფექტურობის მხარდაჭერი სხვა ღონისძიებების ფასილიტაცია) მიწოდებაში მზარდი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და მხარდაჭერა; ასევე მათი ჩართულობის ხელშეწყობა მომსახურების ხარისხის მონიტორინგში, ტუბერკულოზთან და აივ-თან ასოცირებულ სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ღონისძიებებში.
- ტუბერკულოზისა და აივ-ის პრევენციისა და მკურნალობისთვის საჭირო ძირითადი მედიკამენტების და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პროდუქტების შესყიდვებთან და მარაგებთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავება და დანერგვა.

კომიტეტს აქვს ტექნიკური და საკონსულტაციო როლი და იგი არ წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს. კომიტეტის მიერ განხილული კონკრეტული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები მათი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. კომიტეტის სპეციფიკური პასუხისმგებლობებია:

- ქსს-ს გარდამავალი პერიოდის გეგმის შემუშავებისთვის ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიის განხილვა და მასზე რეკომენდაციების მომზადება.
- ქსს გარდამავალი პერიოდის დაგეგმვისთვის ტექნიკური დახმარების საჭიროებების იდენტიფიცირება და ტექნიკური პროცესის კოორდინაცია.
- ქსს გარდამავალი პერიოდის დაგეგმვისთვის მობილიზებული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით: 1) გეგმის მონახაზის შემუშავება; 2) თითოეულ სფეროში ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვს; 3) გადაწყვეტის შემოთავაზებული გზების ფინანსური, ტექნიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით განხორციელებადობის შეფასება; 4) შეფასებისთვის ძირითადი ინდიკატორებისა და ნიშანსვეტების იდენტიფიცირება და 5) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება.
- ქსს-ს მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, საჭიროებიდან გამომდინარე კონკრეტული საკითხების განხილვა და საკუთარი პოზიციის გაზიარება.
- ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებს შორის თანხვედრის და მათი ურთიერთშევესებადი ხასიათის გათვალისწინება, რათა ადგილობრივ დაფინანსებაზე გადასვლისას მაქსიმალურად ოპტიმალურად მოხდეს ყველა არსებული რესურსის გამოყენება.

- აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების შემუშავებისთვის ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიის განხილვა და მასზე რეკომენდაციების მომზადება.
- გარდამავალი პერიოდის გეგმის დებულებების შესაბამის სტრატეგიებში ასახვის უზუნველყოფა.
- პროგრამის გაგრძელების მოთხოვნის ფარგლებში აივ და ტუბერკულოზის პროგრამებს შორის გლობალური ფონდის მიერ მოწოდებული დაფინანსების განაწილების განხილვა და მასზე რეკომენდაციების მომზადება.
- გლობალურ ფონდში წარსადგენი აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამების გაგრძელების მოთხოვნის განაცხადის განხილვა და მასზე რეკომენდაციების მომზადება.
- დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლება ქსს ევოლუციის, მისი ახალი როლის საკითხებთან და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შუწყობს ხელს ქსს გარდამავალი გეგმა მთლიანი ქვეყნის გარდამავალ პროცესს.
- ქსს-სთვის რესურსების მობილიზაციის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის/მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო, ხელმისაწვდომი რესურსების მონიშვნა/მეფინგი.
- საჭიროების შემთხვევაში, რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის შემუშავება (მომავალში ქსს-სა და სამდივნოს ფინანსური მდგრადობისთვის) და რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებული აქტივობების და სამიზნეებთან შესაბამისობის ზედამხედველობა;
- ქსს-თან ანგარიშგება.

კომიტეტის შემადგენლობა

კომიტეტი დაკომპლექტდება ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ძირითადი დაზარალებული ჯგუფების, დაავადებული პირების და ტუბერკულოზისა და აივ-ის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ქსს-ს წევრი შეიძლება ასევე იყოს კომიტეტის წევრი. ეს შექმნის უკეთეს პირობებს ტექნიკური პროცესების კოორდინაციისთვის.

კომიტეტის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 25-ს კომიტეტის თავმჯდომარის, ჩათვლით. კომიტეტის თავმჯდომარე შეირჩევა კომიტეტის წევრებიდან და მტკიცდება ქსს-ს სხდომაზე.

კომიტეტის წევრების კომპეტენციის სფეროები იხილეთ ქვემოთ:

1. აივ-ის სფეროში სტრატეგიული დაგეგმარება
2. ტუბერკულოზის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვა
3. ჯანდაცვის დაფინანსება-რეკომენდებულია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ჩართულობა
4. შესყიდვებისა და მარაგის მართვა
5. ადვოკატირება ტუბერკულოზის სფეროში და ადამიანის უფლებები - რეკომენდებულია დაზარალებული თემების წარმომადგენლების ჩართულობა
6. ადვოკატირება აივ-ის სფეროში და ადამიანის უფლებები - რეკომენდებულია თემების წარმომადგენლების ჩართულობა

7. ტუბერკულოზის სფეროში სამოქალაქო სექტორის როლი

8. აივ-ის სფეროში სამოქალაქო სექტორის როლი

9. აივ-სერვისების მიწოდება

10. ტბ-სერვისების მიწოდება

11. ტუბერკულოზისა და აივ-ის პროგრამების მონიტორინგი და შეფასება

ქსს-ს ინტერესის გამოხატვის მოთხოვნით მიმართავს მის თითოეულ „წარმომადგენლობას“, რათა მათ მოავლინონ თავიანთი კანდიდატი კომიტეტში მუშაობის მისაღებად.

კანდიდატები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ზემოთ ჩამოთვლილი სფეროებიდან სულ მცირე ერთში შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის ფლობა.

2. ტუბერკულოზისა და აივ-ის პროგრამების დაგეგმვასა და გახორციელებაში, სულ მცირე, 5 წლის გამოცდილება (გლობალური ფონდის პროგრამებში შესაბამის გამოცდილება განიხილება როგორც უპირატესობა).

3. საერთაშორისო გამოცდილება განიხილება როგორც უპირატესობა.

4. განსაკუთრებით მისასაღებელია დაავადებული პირების და ძირითადი დაზარალებული ჯგუფების წარმომადგენლების მხრიდან ინტერესის გამოხატვა. კომიტეტს წევრობის კანდიდატი უნდა დასახელდეს შესაბამისი წარმომადგენლობის მიერ და წარედგინოს ქსს-ს დასამტკიცებლად.

5. ნებაყოფლობითი მზაობა მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის მუშაობაში უსასყიდლოდ.

კომიტეტის თითოეული წევრი კონკრეტული საკითხის განხილვისას იმუშავებს საკუთარ წარმომადგენლობასთან და/ან მცირე თემატურ ჯგუფთან, რათა მოხდეს საკითხის განხილვა გამჭვირვალე და წარმომადგენლობით ფორმატში.

კომიტეტის წევრების როლი

წევრების შერჩევა ხდება ქსს-ს მიერ როგორც მათი შესაბამისი გამოცდილებიდან (პაციენტებისა და ძირითადი დაზარალებული ჯგუფების შემთხვევაში), ასევე მათი სპეციფიური ტექნიკური უნარებიდან (აივ-თან და ტუბერკულოზთან დაკავშირებული ტექნიკური ექსპერტიზა, სტრატეგიული დაგეგმარების გამოცდილება) გამომდინარე. თუ წევრები არიან გარკვეული წარმომადგენლობების/ქსელების/თემების წარმომადგენლები, ქსს-ს მიიჩნევს რომ ისინი კომიტეტში წარმომადგენენ თავიანთი ორგანიზაციების ხედვას. კომიტეტის წევრები ირჩევიან საწყისი 12 თვის ვადით, გაგრძელების პერსპექტივით, იმ შემთხვევაში, თუ ქსს ამას საჭიროდ მიიჩნევს.

კომიტეტის წევრების მიერ შეტანილი წვლილი აღიარებული იქნება ყველა ტექნიკურ პროდუქტში, რომელიც შემუშავდა კომიტეტის მიერ ან კომიტეტის ჩართულობით. ტექნიკური პროდუქტების სახეები განისაზღვრება ეტაპობრივად სპეციფიკური ტექნიკური დავალების დოკუმენტში, რომელიც შემუშავდება გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის პროცესში.

ორმხივი ვალდებულებები

ქსს ვალდებულია:

- კომიტეტის წევრებისთვის უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა რესურსთან, რაც აუცილებელია მათი მუშაობისთვის.
- უზრუნველყოს კომიტეტის წევრების თანაბარი ხელმისაწვდომობა არსებულ ტექნიკურ რესურსებთან და ქსს გარდამავალი პერიოდის გეგმის, აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების და გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების შემუშავებისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებთან.
- ქსს გარდამავალი პერიოდის გეგმის, აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების, გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების და სხვა შესაბამისი პროდუქტის შემუშავებაში სრული ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესთავაზოს კომიტეტის წევრებს შესაბამისი ტრენინგი.

კომიტეტის წევრები ვალდებული არიან:

- გამოყონ საკმარისი დრო შეხვედრებზე დასასწრებად და შეიტანონ წვლილი ქსს გარდამავალი პერიოდის გეგმის, აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების, გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების შემუშავებაში პირადი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციის ხედვის გამოყენებით.
- შეიტანონ შესაბამისი წვლილი ჯგუფის მუშაობაში და ტექნიკური პროდუქტების შემუშავებაში.

კომიტეტის წევრებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა შეიმუშაონ ტექნიკური ხასიათის მასალა და ქსს გარდამავალი პერიოდის გეგმის, აივ და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების, გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების რომელიმე ნაწილი. კომიტეტის წევრები იყენებენ საკუთარ გამოცდილებასა და ექსპერტულ ცოდნას გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის და სტრატეგიების შემუშავების გამოწვევების შესახებ რჩევის გასაცემად და ახდენენ გადაწყვეტის გზების შეთავაზებას არსებულ საუკეთესო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. კომიტეტის წევრები შეისწავლიან და შეიმუშავენ კომენტარებს საერთაშორისო და ადგილობრივი ტექნიკური ექსპერტების მიერ შემუშავებულ ტექნიკურ პროდუქტებზე. კომიტეტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ქსს-ს ინფორმირებას მიღწეული პროგრესის შესახებ და სთხოვს ჩართულობას გარკვეული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში.

კომიტეტის წევრების წარმატებული საქმიანობისათვის, საკითხის ფართო მსჯელობაზე გამოტანამდე, მათ უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა ჯგუფის შიგნით ჩამოაყალიბონ და იმსჯელონ საკითხებზე. კომიტეტის წევრებს შეუძლიათ განიხილონ დოკუმენტების სამუშაო ვერსიები თავიანთ წარმომადგენლობებში მათი აზრის შესწავლის მიზნით. თუმცა კომიტეტის მიერ განსახილველ საკითხებზე ნებისმიერი გარე კომუნიკაციის (მაგ. მედია, გლობალური ფონდის სამდივნო, საქართველოს მთავრობა) წარმართვა კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხების გარშემო რჩება ქსს-ს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის პასუხისმგებლობების სფეროში. ქსს-ს ნებისმიერმა სხვა წევრმა ან კომიტეტის წევრმა ქსს-ს სახელით კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა მოიპოვოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის წერილობითი თანხმობა.

ზემოთ აღწერილი პირობების შესრულებისათვის ქსს-ს მოლოდინი კომიტეტის წევრების მიმართ მდგომარეობს შემდეგში:

- განიხილონ დოკუმენტები და კომიტეტის განხილვის საკითხები თავიანთ წარმომადგენლობებთან და უზრუნველყონ მათი მხრიდან მიღებული გამოხმაურების დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, ელექტრონული კომუნიკაცია, ა.შ.).
- კომიტეტის წევრებს მოეთხოვებათ გაიზიარონ ქსს-ს ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა და მისი მართვის პროცედურები და უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის დეკლარირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კომიტეტის თავმჯდომარე ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- გეგმავს და ფასილიტაციას უწევს კომიტეტის შეხვედრებს
- ზედამხედველობას უწევს პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტის მუშაობას.
- ამტკიცებს პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტის მიერ შემუშავებულ დღის წესრიგს (იხ. ქვემოთ: კომიტეტის ტექნიკური და ოპერაციული მხარდაჭერა)
- წარუდგენს ქსს-ს ანგარიშებს კონკრეტული დავალებების შესრულების თაობაზე

კომიტეტის ტექნიკური და ოპერაციული მხარდაჭერა

პოლიტიკის და ადვოკატირების კომიტეტის სპეციალისტი (რომლის დაქირავება მოხდება ქსს-ს მიერ) უზრუნველყოფს კომიტეტის ტექნიკურ და ოპერაციულ მხარდაჭერას. სპეციალისტის სამუშაოთა აღწერილობას ამტკიცებს კომიტეტი.

სპეციალისტი მუშაობს კომიტეტის ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულია მის მიმართ. სპეციალისტის მუშაობას ზედამხედველობას უწევს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის თავმჯდომარე ამოწმებს სპეციალისტის საქმიანობას და ამტკიცებს მის თვიურ ანგარიშს ფინანსური ანაზღაურების მისაღებად. სპეციალისტი ადგენს კომიტეტის შეხვედრების დღის წესრიგს და უზრუნველყოფს კომიტეტს ტექნიკური და ოპერაციული მხარდაჭერით. სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ფართო კომპეტენციები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში და ტუბერკულოზისა და აივ პროგრამების ღრმა ცოდნა. მას უნდა შესწევდეს უნარი ჩაატაროს სიტუაციური ანალიზი, მოახდინოს ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება, ეფექტურად მოახდინოს კომპლექსური ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება ექსპერტებიდან კომიტეტის წევრებისადმი და სხვა დაინტერესებული მხარეებისადმი, მოახდინოს ტექნიკური დისკუსიების ფასილიტაცია და მოამზადოს შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიშები.

ტექნიკური ფუნქციების განხორციელების გარდა, სპეციალისტმა უნდა მოამზადოს სხდომის ოქმები, გაავრცელოს ისინი კომიტეტის წევრებს შორის დასამტკიცებლად და მიაწოდოს ქსს-ს სამდივნოს ქსს-ს წევრებს შორის შემდგომი ციკრულირებისათვის.

სპეციალისტმა უნდა მოახდინოს კომიტეტის წევრებს და გარდამავალი პერიოდის დაგეგმარებაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს შორის კონსულტაციების და რეგულარული ურთიერთქმედებს ფასილიტაცია.

ქსს შეუძლია უზრუნველყოს იმ ექსპერტების მობილიზება მოკლე ვადით, ვინც არ მონაწილეობს კომიტეტის მუშაობაში, მაგრამ მათი ექსპერტიზა კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად ღირებულად ჩაითვლება.

DRAFT